ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №716818

ნომერი: AR1132547

თარიღი : 20.05.2013

გაცემის თარიღი : 05.06.2013

გაცნობის თარიღი : 05.06.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხვამლი , N 8 (ნაკვეთის N 1/8);

დამკვეთი-განმცხადებელი

- სალომე გოგიჩაიშვილი პ/ნ 01008026100
- ჭავჭავაძის #75

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დიმიტრი შაფაქიძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "არქიტექტურის ლაბორატორია #3"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204503661

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს – გაერთიანებული სამეცნიერო–მეთოდური საბჭოს დებულების მე–3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე–2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად განაცხადი და თანდართული

დოკუმენტაცია განსახილველად წარედგინა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილ სათათბირო ორგანოს – გაერთიანებულ სამეცნიერო–მეთოდურ საბჭოს (ოქმი N21, 28.05.2013წ), რომლის დასკვნის საფუძველზეც უარი ეთქვა ქ. თბილისში, ხვამლის ქ. N8–ში, სასტუმროს წარმოდგენილ ესკიზურ პროექტს. გათვალისწინებული იქნეს საბჭოზე გამოთქმული რეკომენდაციები. სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. ს. გოგიჩაიშვილს უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას მოქ. ს. გოგიჩაიშვილს ქ. თბილისში, ხვამლის ქ. N8–ში სასტუმროს ესკიზური პროექტის შეთანხმების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.